პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 81 (13763) | ხუთშაბათი, 6 აპრილი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

საიუბილეო ვახტანგი

საიუბილეო წელს დავახვავოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები— ამ დევიზით მუშაობენ ახლა სამგორის საჯიშე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ვ. კორძაძე). მხვნელ-მთესველები საფუძველს უყრიან უხვ მოსავალს. აქ შვრია 500 ჰექტარზე დათესება. ამ სამუშაოს შესასრულებლად ყოველდღე ორი აგრეგატი მუშაობს. ვ. სუგასიანი და ვ. დურგლიშვილი ორ-ორი სათესი მანქანით თესავენ შვრიას და დღიურ გეგმას თვითეული 120-120 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ორი სათესი აგრეგატით შვრიის თესვა სამგორის საჯიშე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში.

გაზაფხული და მექანიზატორები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ მოპოვებული წარმატებანი და სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა გადაწყვეტილებაა: **მნიშვნელოვნად გაადიდონ პროდუქტების წარმოება, 1967 წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 210 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 200 ათასი ტონისა, ყურძენი—240 ათასი ტონა ნაცვლად 210 ათასი ტონისა. ასევე გადიდებული ვალდებულებები აიღეს ხილის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ამაღლების საქმეში.**

ახლა, გაზაფხულის დღეებში მძლავრად ჩქეფს შემოქმედებითი შრომა საკოლმეურნეო მინდვრებში, პლანტაციებსა და ბალ-ვენახებში. კოლმეურნეები, მექანიზატორები დღითიდღე აძლიერებენ სამუშაოთა ტემპს, რათა წარმატებით შეასრულონ საიუბილეო წლისათვის ნაკისრი ვალდებულებები. ამ საქმის სასახელოდ გადაჭრაში ერთ-ერთ მთავარ როლს მექანიზაცია ასრულებს.

მექანიზატორის პროფესია ყველაზე ბასობრივი პროფესიაა ჩვენს სოფელში. ყველგან საბჭოთა გლეხის შრომას ამსუბუქებს მანქანა და მექანიზმი, ტექნიკას მართავენ უნარიანი მექანიზატორები — ტრაქტორისტები, მექანიკოსები, შოფერები. ამ ადამიანთა ინიციატივაზე, შრომისმოყვარეობასა და ცოდნაზე მთლიანად დამოკიდებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარება.

როგორც კი გაზაფხული დაიწყო, მექანიზატორები უკვე მინდვრად გავიდნენ და ჩქარობენ გადავიდნენ სავალი ბანაკებში. გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ისინი ბეჯითად შრომობენ იმისათვის, რომ მოიყვანონ და აიღონ მოსავალი. ადვილი როდია სოფლის მექანიზატორის შრომა, მაგრამ რა სასტაფოა აგრეთვე ის საქმე, რომელსაც იგი აკეთებს საბჭოთა ადამიანის საკეთილდღეოდ! კეშმარიტად, რა საყოველთაო-სახალხო პატივისცემით სარგებლობენ ჩვენში მოწინავე მექანიზატორები, კომბაინერები, მექანიკოსები.

რა მოითხოვება დღეს სოფლის მექანიზატორს, რა არის მისი უპირველესი მოვალეობა?

მთავარია ჩინებულად მოამზადოს ტექნიკა და მუდამ ჰქონდეს სანიმუშო მდგომარეობაში, რომ მთელი წლის განმავლობაში თვითეული მანქანა მუშაობდეს შეუფერხებლად, უნაკლოდ, მთელი სიმძლავრით. ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს იმასაც, რომ დაეუფლოს მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების მოწინავე ხერხებსა და მეთოდებს. ტექნიკის კარგად ცოდნა ამრავლებს მხვნელ-მთესველების ძალებს, საშუალებას აძლევს მათ მეტი პროდუქცია მიიღონ შრომისა და სახსრების ნაკლები დანახარჯით.

სოფლის ასობით მექანიზატორი დგას საიუბილეო შრომითს ვახტზე და ყოველდღე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. ჩვენი რესპუბლიკის მექანიზატორთა პირობა იყო ხუთწლედის მეორე წლის გაზაფხულისათვის ყოველმხრივ მომზადების მიზნით ტრაქტორების რემონტის გასული წლის მეოთხე და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა შეესრულებინათ ათი მარტისათვის. ფაქტიურად ვალდებულება ოცი დღით ადრე დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს, ე. ი. უკვე მოიპოვეს პირველი წარმატება.

ყველასათვის ცნობილია, რომ როცა ტექნიკას გონივრულად ვიყენებთ, იგი სასწაულს ახდენს. საქართველოში წარჩინებული მექანიზატორთა რიგები სულ უფრო მრავლდება. მრავალთა შორის აღსანიშნავია რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი სოციალისტური შრომის გმირი ივანე ბაიდოშვილი. რამდენ ცოდნასა და ოსტატობას, შემოქმედებითს ინიციატივას იჩენს იგი. სოღნადის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობაში ი. ბაიდოშვილის სტრაქტორო ბრიგადა ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვ მოსავალს იღებს.

რომელი მიწათმოქმედი არ იცნობს ზუგდიდის რაიონის ინგირის საბჭოთა მეურნეობის ჩაის საკრეფ მანქანაზე მოშუშავე მექანიზატორს სერგო აფხაზავას. მანქანა „საქართველოთი" მან შარშან 110 ტონამდე ჩაის ნედლეული აიღო, ერთ-ერთ დღეს ს. აფხაზავამ რესპუბლიკის მშრომელები გააკვირვა: ერთი მანქანით დღეში აიღო 5.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით 260 მეჩაიის შრომის მაგივრობა გასწია. როგორც მოწინავე მექანიზატორს ს. აფხაზავას თანასოფლელებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს. იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ოსტატი ამ პლეადას ბოლო წლებში შეემატა ასობით ახალი ნიჭიერი მექანიზატორი, რომლებიც კვალავენ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების გზას სოფლის მეურნეობაში.

ნოვატორთა გამოცდილება, მათი მიღწევები თვალნათლივ ცხადყოფს, თუ რა ვეებერთელა რეზერვები აქვთ ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ავამოქმედოთ ეს რეზერვები—ნიშნავს მივაღწიოთ იმას, რომ მკვეთრად გავადიდოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ყოველივე ეს კი ბევრად არის დამოკიდებული სოფლის მექანიზაციაზე.

რედაქციაში მოდის სიგნალები, რომ ზოგიერთ მეურნეობაში ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ ტექნიკას. ადგილნის რაიონის ფხეროს, უდის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში ტრაქტორების რემონტი ჭიანურდება. საქსოფლტექნიკის რაიონული განყოფილება ამ საქმეს მოსაგვარებლად თავს არ იწუხებს. მსგავს ფაქტებს სხვაგანაც ვხვდებით.

უკვე საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა ცხარე დღეებია. სიღნაღის, წათელწყაროს, საგარეჯოს, ხაშურის, მცხეთის, გარდაბნის, ქარელის, მარნეულის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პირველი დღიდანვე შეუფერხებლად დაიწყეს საგაზაფხულო კულტურების თესვა. რესპუბლიკაში თესვის ტემპი ყოველდღე მატულობს. ამიტომ ასეთ დროს ტექნიკის მომზადება პირველი რიგის ამოცანაა.

სოციალისტური სოფელი ყოველწლიურად ახალ-ახალ ტრაქტორებსა და სხვა იარაღ-მანქანებს იღებს, ახლა, როცა დასახულია ამოცანა ერთიორად გავადიდოთ მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტები. საჭიროა გონივრულად გამოვიყენოთ მძლავრი ტექნიკა.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაცია, რასაც პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, სხვა ღონისძიებებთან ერთად კომპლექსური მექანიზაციის განუხრელად განხორციელებას მოითხოვს. პარტიამ და ხალხმა მექანიზატორებს მიანდეს უდიდესი სიმდიდრე — მილიონობით თანამედროვე მანქანა. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სოფლის მეურნეობის ხამმართველოების, გერთიანება „საქსოფლტექნიკის" ორგანიზაციების მოვალეობაა სასწრაფოდ გადაჭრან ყველა საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია საიუბილეო წლის უხვი მოსავლისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი ძალის—ჩვენი მექანიზატორების წარმატებით მუშაობასთან. დაე თვითეული ტრაქტორი, სათესი მანქანა —მთელი ტექნიკა სრული სიმძლავრით მუშაობდეს. ტექნიკის სათანადოდ გამოყენებით დავახვავოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

თესავენ გარდაბნელები

გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობის მხვნელ-მთესველები მინდვრად გავიდნენ. ყველგან ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო სამუშაოების აგროწესების დაცვით და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. უკვე დათესეს 4.500 ჰექტარზე მეტი საგაზაფხულო კულტურები.

ახლა თვითეულ დღეს კარგად იყენებენ დიდმის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ე. დანელია, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ბერიძე), მხვნელ-მთესველები. მექანიზატორები დ. ზანდარაშვილი და კ. სოზიაშვილი თესავენ პირველობისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან. მათ მეურნეობაში პირველებმა 45 ჰექტარზე დათესეს შვრია. ახლა სწრაფი ტემპით თესავენ საკვებ ჭარხალს, კუშინ თვითეულმა ღღიურ ნორმა ორმაგად შეასრულა.

მეურნეობაში მინდვრის სამუშაოების დაწყების პირველივე დღიდან ბეჯითად მუშაობენ და ამის შედეგად ახლა გეგმის ზევით თესავენ მრავალწლიან ბალახს, კარტოფილს, დაკვრითი ტემპით მიმდინარეობს ბოსტნეულის თესვა. ეს სამუშაო უკვე შესრულებულია 92 ჰექტარზე. უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩევა თავი იმ ბრიგადებმა, რომელთა ხელმძღვანელებია სოციალისტური შრომის გმირი ხ. **გეგელიშვილი, ი. კოკაია, შ. კოტორაშვილი.** აღნიშნული ბრიგადების წევრები აღებულ ტემპს არ ანელებენ. დღითიდღე ზრდიან შრომის მაჩვენებლებს. მუშები თ. თეთრაშვილი და ნ. სოზიაშვილი ჯერჯერობით პირველობას არავის უთმობენ.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპი ყოველდღე ძლიერდება ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. კვინლაძე). აქაური მუშები ყურძნის უხვი მოსავლის მიღებასთან ერთად საფუძველს უყრიან მარცვლეული კულტურების მოსავალს. თავიანთი მარცვლეულის კულტურების თესვა უკვე დაამთავრეს, სასიმინდედ ნიადაგი მზრალად მოხნეს, საჭირო რაოდენობით მოიმარაგეს თესლი, ახლა ელოდებიან სიმინდის თესვის დაწყებას.

შ. ჯოჯუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა **ნ. ჩხოლარიამ,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. სურმავამ,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **გ. ჯელიამ** „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელების პირობა იყო სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა შეესრულებინათ 28 მარტისთვის, ფაქტიურად პირობა 26 მარტისთვის გადაჭარბებით გაანაღდეს. სახელმწიფოსთვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა შესრულდა 102,5 პროცენტით, რძისა — 111 პროცენტით, კვერცხისა — 110 პროცენტით.

შაბტამშენებელთა ნარმატება

ჰიათურშახტმშენის სამმართველოს კოლექტივში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად. აქ პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით, 102 პროცენტით შესრულდა.

კოლექტივმა (მმართველი ო. ჩიქუა) ვალდებულება აიღო საექსპლოატაციოდ გადასცეს მაღარო დარაკვრის მეორე რიგი. (200.000 ტონა მარგანეცის წარმადობით). შახტმშენებლებს ეს რიგ განეხორციელებინათ, საჭირო იყო სამანელო შტრეკები, თაღისი კვანძებითა და კრსინგებით, 2.600 გრძივი მეტრით გაეყვანათ. ნაკისრი ვალდებულების დროულად შესრულებისათვის მუშაობაში თავი ისახელა გამყვანთა იმ ბრიგადამ, რომელსაც მ. ხობიაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადა ყოველდღიურ გეგმებს 140-160 პროცენტით ასრულებს.

კოლექტივის წარმატებას ხელი შეუწყო ინჟინერ-რაციონალიზატორ გ. დურმიშიძის წინადადების განხორციელებამ. მისი რჩევით ერთ-ერთ გადამტვირთავ მანქანას დაუკიდეს მოდერნიზაცია. ამან სანგრევების წინსვლის ტემპი გაზარდა. ნაცვლად 40-50 გრძივი მეტრისა ახლა გაპყავთ 101 გრძივი მეტრი.

ინჟინერ გ. დურმიშიძის უშუალო მონაწილეობით ამავე სამმართველოს რაციონალიზატორებმა განახორციელეს და დანერგეს განძილების (შპალების) და მაღალი ძაბვის ხის საყრდენების მექანიზებული მეთოდით ადგილზე გაჟღენთვა. ამან რამდენიმე ათასი მანეთი ეკონომია მისცა მშენებლებს.

ნ. ნემსაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მეურნეობა, რესპუბლიკის ინჟინერი.

ეროვნული ნობათი

საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა **ნ. ჩხოლარიამ,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. სურმავამ,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **გ. ჯელიამ** „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელების პირობა იყო სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა შეესრულებინათ 28 მარტისთვის, ფაქტიურად პირობა 26 მარტისთვის გადაჭარბებით გაანაღდეს. სახელმწიფოსთვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა შესრულდა 102,5 პროცენტით, რძისა — 111 პროცენტით, კვერცხისა — 110 პროცენტით.

ბეგმა ვაფაძ[illegible]

ახალციხე. (სკკ. კორ.). [illegible] ტომბატის მაღაროთა სამმართველოს სამთოელები წარმატებით იბრძვიან საიუბილეო თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის, ნაკისრი ვალდებულებათა გასანაღდებლად. მათ ვადაზე ორი კვირით ადრე გადაჭარბებით შეასრულეს პირველი კვარტალის დავალება. უკვე ამოღებულია 6.856 ტონა დიატომიტი. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.300 ტონისა.

ქუთათური კონსერვები

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის ნაწარმი მოწონებით სარგებლობს მომხმარებელთა შორის. ჩვენი პროდუქცია, ხილისა და ბოსტნეულის ყველა სახის კონსერვი, არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც მიდის. შარშან ქუთაისელ მეკონსერვეთა ნაწარმი საბჭოთა კავშირის 36 ოლქსა და 106 ქალაქში გაიგზავნა.

გასული საბეურნეო წელი ქარხნის მუშაკებმა წარმატებით დაამთავრეს. გამოუშვით ორმოცდათეკვსმეტი ასორტიმენტის 28 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი და ხუთი ასორტიმენტის კენკროვანი ხილის ღვინოები 201 დეკალიტრის ოდენობით.

საიუბილეო 1967 წელს ქარხნის კოლექტივმა ახალი გაზრდილი ვალდებულებები იკისრა. გამოუშვებთ ხუთი ახალი ასორტიმენტის კონსერვს 3.200 ათასი პირობითი ქილის რაოდენობით, თან შორის იქნება შემწვარი ბადრიჯანი პამიდორით — 150 ათასი პირობითი ქილა, ხალათა „სამაისო" — 300 ათასი პირობითი ქილა, ასორტი „გაზაფხული" — 50 ათასი პირობითი ქილა, ასორტი „ზამთარი" — 700 ათასი პირობითი ქილა და ტყემლის ნატურალური წვენი — 2 მილიონი პირობითი ქილა.

გასულ წელს ქუთაითურმა მეკონსერვეებმა 926 ვაგონი კონსერვი და 178 ვაგონი ღვინო გაგზავნეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, მიმდინარე წლის ორ თვეში კი ჩვენი პროდუქცია გაგზავნეთ საბჭოთა კავშირის 38 ოლქსა და 119 ქალაქში, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის 131 სავაჭრო ორგანიზაციაში. კონსერვი გაგზავნილია 296 ვაგონი, ღვინო — 16 ვაგონი.

ჩვენი მთავარი მიზანია ღირსეულად შეეხვედეთ დიდ თარიღს — საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს, მომხმარებელს მივაწოდოთ კარგი, გემრიელი, მაღალი ხარისხის პროდუქცია.

ო. გიორგობიანი,
ქუთაისის საკონსერვო ქარხნის დირექტორი.

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

4 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს სამხედრო ოლქების, ჯარების ჯგუფების, სპეციალურ დაცვის ოლქისა და ფლოტების სარდლები და სამხედრო საბჭოების წევრები.

შეხვედრის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, რომელმაც მოკლედ დაახასიათა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და შეეხო სამხედრო მშენებლობის, არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის წვრთნისა და აღზრდის ზოგიერთ საკითხს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, კელავაც დაუცხრომლად იზრუნებენ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვით ძლიერების განმტკიცებისათვის.

დასასრულ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალების სამხედრო საბჭოები, მეთაურები, პოლიტორგანოები, პარტიული ორგანიზაციები და მთელი პირადი შემადგენლობა, ეგებებიან რა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ ხალხის, ლენინური ბრძოლაში, სიფხიზლის ამაღლებისა და ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომ განმტკიცებაში.

შეხვედრას ესწრებოდნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პარტიული საბჭოთა მეურნეობის უფროსი, შეიარაღებული ძალების გვარეობათა მთავარსარდლები და სამხედრო საბჭოების წევრები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

მიიღეს საზღვარგარეთის ქვეყნების პარტიებისა და მთავრობების და სამხედრო დელეგაციები, რომლებიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშლის რ. ი. მალინოვსკის დაკრძალვაში

1967 წლის 4 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღეს საზღვარგარეთის დელეგაციათა წევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშლის რ. ი. მალინოვსკის დაკრძალვაში.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა სოციალისტური და სხვა მეგობარი ქვეყნების მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, მთავრობებს, რომლებმაც სამძიმარი გამოთქვეს და თავიანთი დელეგაციები გამოგზავნეს საბჭოთა კავშირის მარშლის რ. ი. მალინოვსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ ამით გამოიხატა არა მარტო ღრმა პატივისცემა პირადად თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრისადმი, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, არამედ ეს არის ჩვენი პარტიებისა და ხალხების, ჩვენი შეიარაღებული ძალების მეგობრობისა და ერთობის ნიშანი.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა ძმურ თანამეგობრობას, სოციალისტური ქვეყნების სოლიდარობას ერთმანეთთან და სხვა მეგობარ სახელმწიფოებთან საერთო მიზნებისათვის — ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მთელი მსოფლიოს უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

დასასრულ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გულითადად უსურვა მეგობარ სახელმწიფოთა კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, მათს ხალხებსა და არმიებს წარმატებანი მშვიდობისა და პროგრესის საქმისათვის საბრძოლველად ერთობისა და შეკავშირების შემდგომ განმტკიცებაში, სოციალისტური ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

შეხვედრამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

თბილისის მუშაკთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს პირველი სესია

5 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების XI მოწვეული საქალაქო საბჭოს პირველი სესია.

სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ა. ზურაბაშვილმა.**

სესიის თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი **ი. შევარდნაძე,** მდივნად — დეპუტატი **ნ. ეორდანია.**

სესიის განსახილველად შეაქვთ შემდეგი საკითხები:

1. თბილისის საქალაქო საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები,
2. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები.
3. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა და სამმართველოთა შექმნა და განყოფილებათა გამგეებისა და სამმართველოთა უფროსების დამტკიცება.
4. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა და კომისიების თავმჯდომარეთა დამტკიცება.

სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **კ. გურულის** მოხსენება არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებათა შემოწმების შედეგების შესახებ.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატები არიან კომუნისტებისა და უპარტიოების უოლეეი ბლოკის კანდიდატები, მუშებისა და მოსამსახურეების, ინტელიგენციის, საბჭოთა არმიის მეომრების ღირსეული წარმომადგენლები. სულ არჩეულია 552 დეპუტატი. მათ შორის 312 პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატი, 225 ქალი, 222 მუშა.

დეპუტატთა შორის არიან სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები: ქართველები, რუსები, სომხები, უკრაინელები, ოსები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ასორიელები და სხვები.

სესიამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება და ცნო ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებანი.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატს ამხ. **ვ. პ. მეჟავანაძეს.** მან აღნიშნა, თუ რა დიდი პატრიოტული და შრომითი აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. თავიანთ დეპუტატებს რომ ირჩევდნენ, მშრომელნი ავალებდნენ მათ ყოველი ღონით შეუწყონ ხელი კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებას, ხალხის ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების დამშვენებას.

ამხ. მეჟავანაძემ გამოთქვა რწმენა, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატები პირნათლად გაამართლებენ ამომრჩეველთა ნდობასა და იმედებს.

ვ. პ. მეჟავანაძეს წინადადება შეაქვს არჩეულ იქნას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი აღმასკომის თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სამი მოადგილის, მდივნისა და 13 წევრის შემადგენლობით.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი **შ. ბუხრაშვილი,** პირველ მოადგილედ — დეპუტატი — **ვ. ჩოფიკაშვილი,** თავმჯდომარის მოადგილეებად — დეპუტატები **გ. გოშაძე, ნ. უვანია** და **ი. ურუშაძე,** მდივნად — დეპუტატი **ვ. ჩალაძე.**

შ. ბუხრაშვილის წინადადებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრებად აირჩიეს დეპუტატები **მ. ბაბუნაშვილი, ვ. გუგენავა, ი. დრახოვი, მ. დუმბაძე, თ. ეგაძე, კ. კეთილაძე, ო. ლოლაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, კ. მეგრელიშვილი, კ. ხოხაძე, ი. ჩხენკელი, ვ. ჭანკოტაძე, ვ. ჯანჯღავა.**

სესიამ შექმნა აღმასკომის 2 განყოფილება და 18 სამმართველო და დაამტკიცა განყოფილებათა გამგეები და სამმართველოთა უფროსები.

თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია დეპუტატი **ვ. ხოდელი.**

სესიამ შექმნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს 16 მუდმივი კომისია და დაამტკიცა მათი შემადგენლობანი.

ამით თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეთერთმეტე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველმა სესიამ დაამთავრა მუშაობა. (საქდესი).

განათლების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

სკოლამ უნდა მოამზადოს კომუნიზმის მშენებელთა ღირსეული ცალა, შეიარაღოს ქალიშვილები და ვაჟიკაცები მეცნიერების საფუძვლების ცოდნით, ჩაუნერგოს მაღალი მორალური თვისებები.

ეს ამოცანებია დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გასული წლის ნოემბრის დადგენილებაში „სამუშაოდ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". სწორედ იმას, თუ როგორ ხორციელდება ეს ამოცანები ჩვენს რესპუბლიკაში, როგორ ემზადებიან სკოლები სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისათვის, მიეძღვნა საქართველოს განათლების საოლქო, საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა გამგეების თათბირი, რომელიც 5 აპრილს გაიმართა.

თათბირზე მოხსენება წაიკითხა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა **თ. ლაშქარაშვილმა.**

ჩვენი სკოლების მუშაობაში მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად ჯერ კიდევ გვხვდება არსებითი ნაკლოვანებანი. — აღნიშნა მოხსენებელმა. სკოლა-კურსდამთავრებულთა ცოდნა ხშირად ვერ აკმაყოფილებს მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს. მაგალითად, ასეთი მდგომარეობაა გეგეჭკორის, წყალტუბოსა და სამტრედიის რაიონს ზოგიერთ სკოლაში. მთელ რიგ სკოლებში ჯეროვანი გულისხმიერებით არ გვიდგებიან მედალოსანთა შერჩევას, მათი ცოდნის შეფასებას, თქვა თ. ლაშქარაშვილმა. სავალდებულოდ უნდა მივიჩნიოთ მათი მონაწილეობა რესპუბლიკურ ოლიმპიადებში ფიზიკა-ქიმიისა და მათემატიკაში. დღემდე ჯერ კიდევ არ არის სკოლებში მასწავლებელთა მომზადებული კადრები, ბევრ სკოლაში სუსტია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უნდა ითქვას, რომ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი როდი სწავლობს. ჯეროვნად არ უწევენ კონტროლს სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულებას.

ამასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის პედაგოგიური განათლების სისტემაში ძირითადად უკვე დამთავრდა ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენა, ჩვენს რესპუბლიკაში ამ გეგმებითა და პროგრამებით სწავლებაზე გადასვლა ახალი სასწავლო წლიდან დაიწყება და 1972 წელს დამთავრდება.

თათბირზე გამოვიდნენ განათლების მინისტრის მოადგილე **მ. ქოჩაკიძე,** განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსის მოადგილე **ი. ჭანტურია,** სკოლა-ინტერნატების სამმართველოს უფროსი **ვ. ჩინჩალაძე,** რომელმაც გააშუქეს სკოლების მუშაობისა და განსაკუთრებით სასკოლო მშენებლობის მთელი რიგი საკითხები. კერძოდ, მათ თქვეს, რომ ნაკლოვანებანია ძველი სასკოლო შენობების გამოყენებასა და ახალი სკოლების მშენებლობაში. (საქდესი).

საქართველოს სსრ

საბერძნეთის კომპარტიის განცხადება

ათენი, 5 აპრილი. (ხაკდესი). საბერძნეთის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ კანელოპულოსის მთავრობის შექმნა „ოლსტატეციის პრინციპების უხეში დარღვევაა", „საზოგადოებრიობის გრძნობების შეურაცხყოფაა". ეს ნათქვამია განცხადებაში, რომელიც რადიოსადგ

ორგანიზებულად მოვაწყოთ გუნეგის დაცვის კვირეულები •

ჩვენი მწვანე მეგობრები

მეტყევე

მწვანე ნარგავები ჩვენი ცხოვრების მშვენება და სილამაზეა, ხალხის ჯანმრთელობაა. რაც მეტი გვექნება ტყეებით უკეთესი პირობები იქნება უხვი მოსავლის მოსაყვანად ადამიანთა საუკეთესო დასვენებისათვის.

ეს კარგად იციან ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებმა. სწორედ ამიტომ იყო, რომ შარშან ნოემბერი და დეკემბერი მწვანე ნარგავების გაშენების დამკვრელი თვეებად გამოაცხადეს. ამ ინიციატივამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. რედაქციაში მრავალი წერილი მოდის, რომელთა ავტორები იტყობინებიან, რომ რესპუბლიკის გზისპირებზე, ბოიოკ ველ-მინდვრებზე, საკარმიდამო ნაკვეთებზე მრავალფეროვანი ათასი მარადმწვანე, ფოთლოვანი და ნაყოფის მოსავალი ხე დაირგო.

ზოგიერთი რაიონი ამ საშვილიშვილო საქმეს უფ-ექტიურად გა-ხორა, დიდი ეკონომიური ნაბი-გადადგა რაი-მწვანე სამოსე-შემოსვის საქ-ამ მხრივ ყველასათვის მისაბაძია თერჯოლის რაიონის მშრომელთა თაოსნობა. აქ სასოფლო ყრილობიდან, სადაც ბრიოკი ადგილების გამწვანების საკითხი გადაწყდა, ურილობის დადგენილებით ოქტონის მთის 12 მექანიზებული ბრიგადა ნაკრძალად გამოაცხადეს. აქ შარშან 10 ათას ძირამდე მცენარე დარგეს, მიმდინარე წელს კი 30 ათას ძირამდე ფიჭეს დარგავენ.

ასევე კარგი ინიციატივა გამოიჩინეს ასპინძის რაიონის მშრომელებმა. მათ ვალდებულება აიღეს ვარძიის მიდამოებში 100 ჰექტარი ტყე გააშენონ.

რაიონები, სოფლები, რომლებმაც გულით მოჰკიდეს ხელი ტყეების გაშენებას, ცოტა როდია. მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ჯერ კიდევ ბევრია შიშველი ბორკილები და ფერდობები, ბევრ ადგილებიც ოდესღაც ტყით იყო დაბურული, საამო სანახავი ბაღრამ ახლა ერთ ხესაც ვეღარ ნახავთ.

ეს ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ქარისა და წყლისმიერი ეროზიისა ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ ნაგასვით არის აღნიშნული, რომ ნიადაგის ეროზიის ფარგლებში ყველაზე მისაწვდომი და ეფექტიანი საშუალებანი ტყეშნარებისა და სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი სხვა მიწების შემაგრება და მოტყეევება, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება. პარტიისა და მთავრობის ამ მითითებების განხორციელებისათვის უწინარეს ყოვლისა უნდა იზრუნონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა.

დიახ, ჩვენს რესპუბლიკაში ტრადიციად იქცა მშრომელთა ფართო აქტივის მონაწილეობა შიშველი გორაკებისა და ფერდობების, ქალაქებისა და სოფლების, გზებისა და მინდვრების გამწვანებაში. ვინ დათვლის ახლა, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, მოსწავლეების მიერ დარგული რამდენი ფოთლოვანი, წიწვიანი, ნაყოფის მომცემი მცენარე ამშვენებს ველ-მინდვრებს, გზებსა და გორაკებს.

მწვანე საამოსელი — ხრიოკ ველ-მინდვრებს!

ეს დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიებაა.

მიმდინარე გაზაფხული გვიხმობს სახალხო საქმისათვის — რესპუბლიკის ყველა კუთხეში უნდა შევუტიოთ ჯერ კიდევ ხრიოკ გორაკებსა და ველ-მინდვრებს. ბეჯითი შრომით იქ სამუდამოდ დავასახლოთ ჩვენი მწვანე მეგობრები.

თვითეულ ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ ყოველი ახალი დარგული ხე სიცოცხლისა და სიმშვენიერის მატებს ჩვენს საერთო-სახალხო სიმდიდრეს, სამშობლოს თვალწარმტაც ბუნებას.

გაზაფხული დადგა. იღვიძებს ბუნება. სწორედ ახლა არ უნდა დავკარგოთ ჩვენ მიერ დარგული ხეები, გულისყურით დავათვალიეროთ ისინი, მზრუნველობით მოვეკიდოთ თვითეული ხის გახარებას. ნუ დავკარგავთ ძვირფას დროს, გავაკეთოთ ტერასები, ამოვიღოთ ორმოები ხეების დასარგავად. ერთიორად გავადიდოთ ტყეების ფართობი და ამ მხრივაც ახალი დიდი საჩუქარი მივუძღვნათ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს.

ვაშენოთ, ვამრავლოთ ტყეები, ჩვენი რაიონებისა და სოფლების მშვენება, დიდი სახალხო სიმდიდრე, ხალხის ჯანმრთელობის წყარო, უხვი მოსავლის დედა.

... ერთ ... ...

ბოლო ... ...

საქართველოს ხალხთა ურთიერთობა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 5 აპრილი. (საკდესი). სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკომ გუშინ უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეებს გაუგზავნა წერილები, რომლებშიც ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტად გაავრცელონ სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ოპერაციათა“ შესახებ.

კუბის პროგესი

ნიუ-იორკი, 4 აპრილი. (საკდესი). კუბის წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გენერალურ მდივანს უ ტანს გაუგზავნა საპროტესტო წერილი იმასთან დაკავშირებით, რომ საკმაოდ არ უზრუნველყოფენ უცხოელ დიპლომატთა უშიშროებას ნიუ-იორკში.

გუშინ მოხდა ინციდენტი კუბის წარმომადგენლობაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მასალების პაკეტის გახსნისას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფოსტო სამსახურმა გამოგზავნა, მოხდა აფეთქება. კუბის წარმომადგენლობის დროებითმა მეთაურმა ნიკოლას როდრიგეს ასტასიარიანმა მიიღო დამწვრობა.

დიადი თარიღის აღსანიშნავად

ლონდონი, 4 აპრილი. (საკდესი.) დღეს ინგლისის დედაქალაქის „საბანეტო დარბაზში“ „დიდი ბრიტანეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციამ მოაწყო დიდი დარბაზობა საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის აღსანიშნავად და ინგლისში მყოფი საბჭოთა არმიის სიმღერახა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის პატივსაცემად.

„დიდი ბრიტანეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოებას, თქვა მისასალმებელ სიტყვაში საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ჯ. ტომსონმა, დიდი წვლილი შეაქვს ორი ქვეყნის ხალხთა დაახლოების, ორი ქვეყნის მეგობრობის განმტკიცებისა და კონტაქტების განვითარების საქმეში.

საპასუხო სიტყვაში სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში მ. ნ. სმირნოვოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის მიზანია მეგობრობისა და ნდობის განმტკიცება ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპთა საფუძველზე. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის სახელით მან „დიდი ბრიტანეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციას გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

დარბაზობას ესწრებოდნენ ინგლისის სახელმწიფო მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სსრ კავშირის საზოგადო მოღვაწეთა დელეგაციის წევრები საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოპოვას მეთაურობით, რომლებიც ამჟამად ლონდონში იმყოფებიან. დარბაზობის დასასრულს შესრულდა პოპულარული შოტლანდიური სიმღერა მეგობრობაზე.

საიმინგტონი აღიარებს

ვაშინგტონი, 4 აპრილი. (საკდესი). სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის წევრმა საიმინგტონმა დაიმოწმა სამხრეთ ვიეტნამში მყოფი ამერიკელი მფრინავების გამონათქვამები და გუშინ სენატში განაცხადა, რომ „მიგის“ ტიპის საბჭოთა თვითმფრინავები უფრო მანევრულია, აქვთ უფრო მაღალი ჭერი და სიჩქარით სჯობნიან ჩვენს ავიაგამანადგურებლებს დიდ სიმაღლეზე. „გაუსროლად და რაკეტის გამოუყენებლად, — თქვა სენატორმა, — ეს თვითმფრინავები აიძულებენ ჩვენს მფრინავებს წაიყვანონ თვითმფრინავები გადაძღომი ცეცხლის „კედლისაკენ“.

„მიგის“ ტიპის თვითმფრინავები დასძინა სენატორმა, მეტად დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩრდილოეთ ვიეტნამის „ფრიად სრულყოფილ“ საბრძოლო-საჰაერო დაცვაში.

საიმინგტონმა მოითხოვა დაბომბონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის აეროდრომები.

,,სტეიტსმენი“ აღარ გამოვა

ლონდონი, 5 აპრილი. (საკდესი). 28 აპრილიდან შეწყდება ყოველკვირეული საფინანსო-ეკონომიური ჟურნალის „სტეიტსმენის“ გამოცემა, რომელიც 1878 წელს დაარსდა, გამოაცხადა გუშინ „ინტერნეშნლ პაბლიშინგ კორპორეიშნის“ გამომცემლობამ.

ჟურნალის გამოცემის შეწყვეტა, როგორც მთავარმა რედაქტორმა ჯ. ბარომ განაცხადა, დაკავშირებულია ჟურნალის გასაღების სიძნელეებთან.

მოკლედ

ბუქარესტი, 5 აპრილი. (საკდესი). აუერპრესის სააგენტო იტყობინება, რომ რუმინეთისა და კანადის მთავრობებმა გადაწყვიტეს დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალონ დიპლომატიური წარმომადგენლები ელჩების დონეზე.

ლონდონი, 5 აპრილი. (საკდესი), ამერიკული ტელეკომპანიის „ტორი კანონის“ ჩაძირვის გამო თემთა პალატაში პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ უკვე მისცა მითითება ატლანტიკის ზღვაზე მფლობელებს, რომ მათ წინააღმდეგ აღიძრება სასამართლო საქმე ინგლისის ხაზინისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. როგორც ცნობილია, ინგლისის სამხრეთი ნაწილის სანაპიროს ნავთობით გაჯეჯილიანების წინააღმდეგ ბრძოლა ინგლისის მთავრობას მნიშვნელოვანი თანხა დაუჯდა.

ლიგიის კაბინეტის რეორგანიზაცია

კაირო, 5 აპრილი. (საკდესი). ტრიპოლის რადიო იუწყება, რომ რეორგანიზებულია ლიბიის მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც ჰუსეინ მაზეკი მეთაურობს.

დღეს გამოქვეყნებული მეფის დეკრეტის თანახმად ხუთი მინისტრი გამოყვანილია ლიბიის მთავრობის შემადგენლობიდან. დანიშნულია 8 ახალი მინისტრი. ამავე დროს შეიქმნა სამი ახალი სამინისტრო: ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა სამინისტრო, მუნიციპალიტეტების საქმეთა სამინისტრო, პრემიერ-მინისტრის საქმეთა სამინისტრო. ლიბიის კაბინეტში მინისტრთა საერთო რიცხვი ახლა 22-ს აღწევს.

ჰ. ვილსონის განცხადება

მთავრობა, თქვა ვილსონმა, სასწრაფოდ იხილავს წინადადებებს, რომ უზრუნველყოს საჭირო ცვლილებანი ზღვაოსნობის პრაქტიკის საერთაშორისო დებულებებში, რომლებიც ეხება ანალოგიურ შემთხვევებს. ტრიკიერიელი წყლების ძველი კონცეფცია საკმარისი არ არის.

საერთაშორისო შეთანხმების დადებამდე, თქვა ვილსონმა, ვიხილავთ სხვა შესაძლო ღონისძიებებსაც. მათში შედის კონტროლის დაწესება იმ გიგანტური ტანკერებსა და სხვა გემების მარშრუტებისადმი, რომლებიც დატვირთული იქნება პოტენციურად საშიში ტვირთით.

ანტიამერიკული დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 5 აპრილი. (საკდესი). ურუგვაის დედაქალაქში გრძელდება საპროტესტო დემონსტრაციები იმის წინააღმდეგ, რომ აქ ამერიკის სახელმწიფოთა პრეზიდენტების თათბირში მონაწილეობის მისაღებად უნდა ჩამოვიდეს პრეზიდენტი ჯონსონი.

ნაზიმ ჰიქმეთის ხსოვნისათვის

სტამბოლი, 4 აპრილი. (საკდესი). ცნობილი თურქი მწერალი აზიზ ნესინი ჟურნალ „ანტის“ ფურცლებზე სახავს წინადადებას შექმნან თურქეთში ნაზიმ ჰიქმეთის კომიტეტი.

ა. ნესინი აღნიშნავს, რომ კომიტეტი იმუშავებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ნაზიმ ჰიქმეთის მუზეუმის შექმნა, პოეტის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა და მის ნაწარმოებთა სხვა გამომცემლობისათვის დახმარების გაწევა, ნაზიმ ჰიქმეთის ინსტიტუტის შექმნა მისი შემოქმედების შესასწავლად და სხვ.

ჩვენს მეგობრებს

ზეიმობს უნგრეთი

4 აპრილს გაზაფხულის ზეიმი იყო უნგრეთში. ლამაზად იყო მორთული ბუდაპეშტი. შენობების ფასადებს ამშვენებდა ლოზუნგები, რომლებიც ადიდებდნენ განთავისუფლების დღესასწაულს, ალმები და ტრანსპარანტები. დილიდან სამი მთავარი მარშრუტით დოჟის პროსპექტისაკენ გაემართნენ ახალგაზრდა ბუდაპეშტელთა კოლონები. აქ ვ. ი. ლენინის ძეგლთან გაიმართა ახალგაზრდობის მრავალთასიანი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე დიერა კალი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პოლიტბიუროს წევრები, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, რევოლუციის ვეტერანები.

10 საათზე მთავარი ტრიბუნის წინ მოედანზე დაირაზმა ფიზკულტურელთა კოლონები. ისინი ისე ეწყობიან, რომ მთელ მოედანზე იწერება ლოზუნგი: „გაუმარჯოს 4 აპრილს!“. ზუსტად და შეწყობილად ასრულებენ ვარჯიშებს. ფიზკულტურელები შეცვალეს 10 ათასზე მეტმა ქალაშვილმა და ჭაბუკმა, რომლებიც ამას წინათ მიიღეს კომკავშირში. მოედანზე გაისმის ფიცის სიტყვები.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მიტინგის მონაწილეებს მიესალმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი კ. ნემეტი.

გაზაფხულისა და ახალგაზრდობის დღესასწაულს უნგრეთის ყველა ქალაქსა და სოფელში ზეიმობენ.

ბრაზილია აღნიშნავს

4 აპრილს სლოვაკიის დედაქალაქი ბრატისლავა აღნიშნავდა საბჭოთა არმიის მიერ განთავისუფლების 22 წლისთავს. ქალაქის საზოგადოებრივი შენობებისა და საცხოვრებელი სახლების ფასადებზე ფრიალებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წითელ-თეთრ-ლურჯი ეროვნული ალმები და საბჭოთა კავშირის წითელი ალმები.

ძველ რატუშაში გაიმართა საქალაქო ეროვნული კომიტეტის, სლოვაკიის კომპარტიის საქალაქო კომიტეტისა და სლოვაკიის ეროვნული ფრონტის საქალაქო კომიტეტის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ბრატისლავის განთავისუფლების 22 წლისთავს.

ბრატისლავის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სკოლებში გაიმართა განთავისუფლების წლისთავისადმი მიძღვნილი საუბრები, ლექციები და საღამოები.

დუნაის უძველესი ქალაქი ამჟამად სლოვაკიის უდიდესი სამრეწველო და კულტურული ცენტრია. ომისშემდგომ წლებში აქ აშენდა ახალი ქარხნები და განხორციელდა ძველი ქარხნების რეკონსტრუქცია. ისეთი დიდი საწარმოების, როგორიცაა „სლოვნაფტი“, „ტესლა“, გიორგი დიმიტროვის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნებისა და მეგრი სხვა საწარმოს პროდუქცია კარგადაა ცნობილი არა მარტო ჩეხოსლოვაკიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ქალაქში, რომელშიც 280 ათასი მცხოვრებია, არის ხუთი თეატრი. ხუთი უმაღლესი სასწავლებელი ამზადებს სპეციალისტთა მაღალკვალიფიციურ კადრებს.

ქალაქი წლითიწლობით იზრდება და მშვენდება. „ძველ ახლა ექვსი ახალი საცხოვრებელი რაიონი ამშვენებს ბრატისლავას.

საიუბილეო თარიღისათვის

გადიდებული მოცულობით გამოვიდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების ორგანოს ჟურნალ „ნარიჩნეა აგიტატორას“ მორიგი ნომერი. იგი მთლიანად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს ეძღვნება. ჟურნალში დაბეჭდილი ყველა ძალა დაწერეს საბჭოთა ავტორებმა — პარტიულმა და საზოგადო მოღვაწეებმა, მეცნიერმა მუშაკებმა, პუბლიცისტებმა და ჟურნალისტებმა.

ეს ნომერი, წერს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“, ჩვენი ჟურნალის რედაქციისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „აგიტატორის“ რედაქციის შემოქმედებითი თანამშრომლის ნაყოფია. ჟურნალი დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს პარტიულ და საზოგადოებრივ აქტივს, რომ ფართო პოლიტიკური და ახსნა-განმარტებითი მუშაობა აწარმოოს სახელოვანი იუბილეს — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის წინ.

მეგობრული ფეთანსმეგა

მაგდებურგში ხელი მოაწერეს შეთანხმებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძიმე მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

შეთანხმებით გათვალისწინებულია ღონისძიებანი ორივე ქვეყნის მრეწველობის ამ დარგის წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირებისათვის 1975 წლამდე, აგრეთვე ერთობლივ სამეცნიერო და საკონსტრუქტორო სამუშაოთა შესრულება.

მინდვრის ვიტამინები

ალდის (ჩრდილოეთ ჰამგენის პროვინცია) ქიმიური ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა აზოტიანი სასუქების საწარმოო კომპლექსის პირველი რიგი. ეს რესპუბლიკის განვითარებადი ქიმიის დიდი მოღვაწეა.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დასახულია ამოცანა — უახლოეს წლებში უზრუნველყოფ[illegible] ... ქიმიური სასუქის გამოყენება, რომ თითოეულ ჰექტარზე მოდიოდეს 500-1000 კილოგრამი „მინდვრის ვიტამინი“. (საკდესი).

,,ფოლიოლისტური ქვეყნებში

მთავრობა შეიქმნა — კრიზისი გრძელდება

ათენი, 4 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ა. სიმონი გვაუწყობინებს:

საბერძნეთში კიდევ უფრო გაამწვავა პოლიტიკური ვითარება ახალი მთავრობის შექმნამ, რომელსაც მეთაურობს მემარჯვენე პარტიის — ეროვნული რადიკალური კავშირის ლიდერი კანელოპულოსი. ყველა პოლიტიკურმა პარტიამ, გარდა პროგრესისტებისა, ოფიციალურად განაცხადეს, რომ უარყოფრთად ეკიდებიან ახალ კაბინეტს. ამის გამო ნაკლებად საიმედოა, რომ ნდობას გამოუცხადებენ პარლამენტში. ამრიგად, თუმცა მთავრობის კრიზისი საბერძნეთში დაძლეულია, საერთო პოლიტიკური კრიზისი არათუ დარჩა, გაღრმავდა კიდეც.

როცა საბერძნეთში გავრცელდა ცნობა ეროვნული რადიკალური კავშირის პარტიის მთავრობის შექმნის შესახებ, ზოგან სტიქიური საპროტესტო დემონსტრაციები დაიწყო. განსაკუთრებით მასობრივი მანიფესტაციები გაიმართა გუშინ საღამოს სალონიკში. იქ მოხდა შეტაკებანი ახალგაზრდობასა და პოლიციას შორის, რაც შუადამემდე გაგრძელდა. გაზეთების ცნობებით, შეტაკებათა შედეგად ზოგიერთი დემონსტრანტი დაშავდა. დემონსტრაციები გაიმართა გუშინ აგრეთვე ათენის ცენტრალურ უბნებში. ხელისუფლებამ საბრძოლოდ გაამზადეს პოლიცია და ჟანდარმერია, მოახდინეს ჯავშლოსნები და, სახანძრო მანქანების მობილიზაცია. დღეს დღისით ათენის ცენტრში გაიმართა სტუდენტთა მასობრივი მიტინგი, რომელიც საბერძნეთის სტუდენტთა ეროვნულმა კავშირმა მოაწყო. სტუდენტები გაიძახოდნენ ლოზუნგებს: „ძირს კანელოპულოსს მთავრობა!“, „დემოკრატია!“, „არჩევნები!“.

როგორც გაზეთი „ნეა“ წერს, მოვლენათა განვითარება სახელმწიფოს მეთაურსა და მთელ დანარჩენ პოლიტიკურ სფეროს (გარდა ეროვნული რადიკალური კავშირისა), შორის აშკარა კონფლიქტის ფორმას იღებს.

,,ეროვნული ალიანსი“ ...

,,ეროვნული ...

,,ეროვნული ...

,,ეროვნული ...

სხვადასხვა მეერიდიანზე

ლონდონი, 4 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჰ. ჰუმფრი, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოგზაურობს, სამი დღის ვიზიტად ჩამოვიდა ლონდონში, დღეს იგი შეხვდა პრემიერ-მინისტრს ჰ. ვილსონს. მანამდე შეხვდა კონსერვატიული პარტიის ლიდერს ე. ჰიტს.

ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ ჰემფრისა და ინგლისის ხელმძღვანელების, კერძოდ საგარეო საქმეთა მინისტრის ბრაუნის შეხვედრების დროს განიხილეს ვიეტნამის მდგომარეობის, ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დადების პერსპექტივების საკითხები და ნატოს განმტკიცების პრობლემები.

ლონდონი, 5 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჰ. ჰუმფრიმ დაამთავრა სამი დღის ვიზიტი ინგლისის დედაქალაქში და დღეს ბონს გაფრინდა. ინგლისის საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია ჰემფრის ცდამ — გაემარსელებინა ამერიკის მხედრიონის მოქმედება ვიეტნამში. გუშინ საღამოს აღშფოთებულმა ლეიბორისტებმა შეაწყვეტინეს ამერიკის ვიცე-პრეზიდენტს გამოსვლა პარლამენტის წევრების წინაშე.

ბონი, 4 აპრილი. (საკდესი). ამერიკის არმიის ამას იუწყება ესპანური გაზეთი „ინფორმასიონესი“. ყოველ ასი სერიოზული შემთხვევიდან 40 სიკვდილით მთავრდებოდა, 30 — მძიმე დასახიჩრებით, ხოლო დანარჩენი 30 — შრომის უნარის ნაწილობრივ დაკარგვით.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში უბედურ შემთხვევათა რიცხვი ესპანეთის საწარმოებში ერთიორად გადიდდა. საწარმოო ტრავმების რიცხვის გადიდება, აღნიშნავს იუფის სააგენტო, იმის შედეგია, რომ ესპანეთის ფაბრიკებსა და ქარხნებში არ არის უსაფრთხობის ტექნიკის საჭირო პირობები და ფართოდ იყენებენ მოზარდთა შრომას.

ადენის პატრიოტები განაგრძობენ შეუპოვარ ბრძოლას კოლონიური ჩაგვრისაგან სამშობლოს გასთავისუფლებლად. ინგლისის კოლონიური ხელისუფლება დიდ ძალებს მიმართავს ამ ბრძოლის ჩასახშობად.

სურათზე თქვენ ხედავთ ინგლისელთა პატრულს ადენის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე.

ფოტო ა. ვიშნევსკისა (ახალი ამბების სააგენტო).

მდგომარეობა ადენში

სანა, 5 აპრილი. (საკდესი). მთელი ოთხი დღის მანძილზე, რაც ადენში იმყოფება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისია, საბჭოთა არაბეთის ამ უდიდესი სამრეწველო და სავაჭრო ცენტრის საქმიანი აქტივობა პარალიზებულია გაფიცვით. როგორც ადენიდან იუწყებიან, ნავსადგურში არის ახლოოდ ერთი გემი, რომელიც დაზიანებულია და არ შეუძლია გავიდეს ზღვაში.

დღეს ადენის ქუჩები კვლავ გახდა პატრიოტებისა და შინაგანი უშიშროების ძალების ჯარების შეტაკებათა ასპარეზი. ინგლისელმა ჯარისკაცებმა ორაერთხელ დაუშინეს ცეცხლი არაბებს კრატერში (ადენის რაიონი), ერთი არაბი მოკლულია. რამდენჯერმე დაესროლნენ თავს ინგლისის პატრულს. ოთხი დღის განმავლობაში დაჭრილია უშიშროების ძალების 15 ჯარისკაცი, აქედან 12 ინგლისელი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიის წევრებმა უკვე გამართეს მოლაპარაკება ინგლისის უმაღლეს კომისართან ადენში რიჩარდ ტერნბულთან. სამხრეთ არაბეთის პატრიოტული წრეები ბოიკოტს უცხადებენ მისიის მუშაობას იმის გამო, რომ ინგლისის ხელისუფალნი ხელს უშლიან მისიის კონტაქტებს ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც იბრძვიან ამ რაიონის დამოუკიდებლობისათვის უცხოელთა ბატონობისაგან.

ემზადებიან, რომ გაუსწორდნენ მაოს მოწინააღმდეგეებს

მმსამ დღეა პეკინში დილიდან საღამამდე ომართება ხუნვეიბინთა მიტინგები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ლიუ შაო-ცის, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დენ სიაო-პინის, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილის ტაო ჯუს წინააღმდეგ. მიტინგების ორგანიზატორები. და მონაწილენი გმობენ ლიუ შაო-ცის „დანაშაულობებს“, რომლებიც მან თითქოს ჩაიდინა ჩინეთის განთავისუფლებამდე და განთავისუფლების შემდეგ, განსაკუთრებით „კულტურული რევოლუციის“ ერიოდში.

მკაცრად აკრიტიკებენ ლიუ შაო-ცის ბროშურას „კომუნისტის მუშაობა თავის თავზე“, რომელიც 1962 წელს გამოქვეყნდა. დღეს პეკინში გამოკრული დაბრძანდა ავტორთა სიტყვით, მაო ძე-დუნმა ამ ბროშურას უწოდა „ანტიმარქსისტული“. ხოლო ჯიუნლაიმ „იდეალისტური“.

მე-3 გვერდი, ხუთშაბათი, 6 აპრილი, 1967 წ.

როგორც პეკინის პრესა იუწყება, კამპანია ლიუ შაო-ცისა და დენ სიაო-პინის წინააღმდეგ ამ ბოლო დღეებში ფართოდ ვრცელდება ბეიჯინგში. ბევრ ქალაქში იმართება მიტინგები, რომლებზეც, როგორც დღეს „ენენმინ ჟიბაო“ წერს, მკაცრად გმობენ ამამფფოთებელ დანაშაულობას ყველაზე დიდი კაცისას, რომელსაც პარტიაში ხელისუფლება უპყრია და კაპიტალისტური გზით მიდის. მიტინგების მონაწილენი აცხადებენ, რომ „დადგა დრო გაუსწორდნენ მას“.

ახლანდელ კამპანიაში ისახავენ ორ ძირითად მიზანს. ჯერ ერთი, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ლიუ შაო-ცი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის დროიდან ახორციელებდა „ბურჟუაზიულ რეაქციულ ხაზს“, და ამით დააკისრონ პასუხისმგებლობა ჩინეთის ხელმძღვანელობის ყველა ეკონომიური და პოლიტიკური მარცხისათვის. მეორე, დაკისრონ მას და მის მოსმხრეებს პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ხუნვეიბინებმა გაანადგურეს პარტიული და სახელმწიფო კადრები.

დამახასიათებელია „მაო ძე-დუნის ნაწარმოებთა შემსწავლელი აქტივისტის“ ძე იუეს წერილი, რომელიც დღეს დაიბეჭდა „ენენმინ ჟიბაოში“. ერთი მხრივ, ეს „აქტივისტი“ ამტკიცებს, რომ „ყველაზე დიდი კაცი, რომელსაც პარტიაში ხელისუფლება უპყრია და კაპიტალისტური გზით მიდის, ყველგან აქებ-ზებდა და მხარს უჭერდა საქმიანობას კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის“. მეორე მხრივ, როგორც წერილის ავტორი აცხადებს, ლიუ შაო-ცის დანაშაული მიუძღვის იმაში, რომ „ცუდი ადამიანების რაღაც მცირეოდენი ჯგუფი“ „უმსგავსოდ იქცევა“ „კულტურული რევოლუციის“ მსვლელობაში.

თვალსაჩინო ჩინელ მოღვაწეთა წრე, რომლებსაც გააფთრებით ესხმიან თავს, თანდათან ფართოვდება. საგარეო საქმეთა მინისტრის ჩენ ი-ს გაკრიტიკების შემდეგ, დღეს პეკინის ქუჩებშიც გაჩნდა მრავალი მოწოდება, მიმართული ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ყოფილი მარშლის ე ძიან-ინის წინააღმდეგ. ლოზუნგების ავტორები იმუქრებიან, რომ „დაუვავენ“ ე ძიან-ინს, მოითხოვენ, რომ მან აღიაროს თავისი დანაშაულობანი თავმჯდომარე მაოს წინაშე.

„კულტურული რევოლუციის“ მსოფლიობაში ფართოდ გავრცელდა ხუნვეიბინთა და ძაოფანთა კედლის კარიკატურები მაო ძე-დუნის ჯგუფის მოწინააღმდეგეებზე. ეს კარიკატურები ღიღინდდენ სულ უფრო ავბედითი ხდება. დღეს ერთ-ერთ მათგანზე გამოხატულია ლიუ შაო-ცის მოკვეთილი თავი, რომელსაც წვავენ ეროვნზე. (საკდესი, 4 აპრილი).

,,ეროვნული ...

,,ეროვნული ...

,,ეროვნული ...

ნათელ ცაზე უცად მეხი გავარდა და ომის ქარიშხალმა ყველა ოჯახის კარი შელეწა. ყველაფერი დასუსტა, ყველგან ცრემლის გუბე დააყენა.

გიორგი ჯინჭველაძე მაშინ 50 წლისა იყო, მაგრამ წლების სიმრავლეს არ მოხმჭიდებია. ჭარმაგმა და დიდად გამოცდილმა დასტაქარმა იცოდა, რომ მისი ადგილი ახლა იქ იყო, სადაც ჩვენი ჯარი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში მტერს იგერიებდა, და ომის პირველსავე დღეებში ფრონტზე წავიდა.

სანტარული ბატალიონი, რომლის წამყვან ქირურგად გიორგი დაინიშნა, ხარკოვში იდგა. ახლა მტერი უკრაინის მეორე დედაქალაქს უტიოდა, და მის გადასარჩენად იბრძოდნენ საბჭოთა ჯარის შენაერთები. ცეცხლის წინა ხაზიდან სანიტრებს გამოჰყავდათ დაჭრილები. ხაოპერაციო მაგიდასთან თეთრხალათიანთა შორის იდგა დოლბანდით პირაკრული ქირურგი გიორგი ჯინჭველაძე.

— მიშველეთ, ექიმო!

— მიშველეთ, ძია!

— მიშველეთ... მიშველეთ... — ისმოდა ირგვლივ და ექიმს მაინ სატკივარი გულზე ხვდებოდა. დღეები, კვირეები ტანგაუხდელი არ სცილდებოდა დაჭრილებს.

ახლოვდებოდა 1942 წლის მაისი. ცეცხლისა და ტყვიების ნიაღვარი არ ცხრებოდა ხარკოვის მისადგომებთან. რკალი თანდათანობით მარწყვად იქცა და ბოლოს დაეცა დიდი და ძველი ქალაქი. სისხლით დაიბურა მისი ქუჩები, ჩამოიონჩხა მაღალი სახლები. მიწასთან გასწორდა ადამიანთა ნაღვაწ-ნამოქმედარი. ავად მოსაგონარი 1941 წლის ოქტომბრის ბოლოს დაიწყო ხარკოვის ფაშისტური ოკუპაცია, დაიწყო მისი რბევა, ადამიანთა ხოცვა. ფრთები აიხსნა ავაკცობამ და გვამებით ჩახერგილ ქუჩებში გამოჩნდა მახრჩობელა მანქანა.

გიორგი ჯინჭველაძე ტლინერის ქუჩაზე მდებარე ჰოსპიტალში ტყვე დაჭრილებს უვლიდა.

— გამაგრდით, ბიჭებო, ამ გადაბნელებულ ქალაქში უპატრონოდ არ დგგტოვებენ, მანამ კი როგორმე გავძლოთ, — ეფიერებოდა, არწმუნებდა, აიმედებდა დასტაქარი ავადმყოფებს. მათაც სჯეროდათ გიორგის სიტყვებისა. თუმცა იცოდნენ, ფაშისტების ხელში ძნელი იყო სიცოცხლის შენარჩუნება. იცოდნენ ეს და ხიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგარნი თავის გატანაზე ოცნებობდნენ, ოცნებობდნენ, რომ კვლავ გაეგოთ განთავისუფლებლების ომახიანი ხმა, საბჭოთა ინაღიების გრგვინვა. მაგრამ მოხდა საზარელი რამ. ფაშისტებმა ჰოსპიტალში თავი მოუყარეს ოთხასამდე მძიმედ დაჭრილს, კარები ჩაეკეტნენ, შენობას ბენზინი მიასხეს და ცეცხლგამჩენი ჭურვებით ცეცხლი წაუკიდეს.

დაჭრილ მეომართა სასოფელი ჯერ ბოლით აივსო, მაერი მოიშხამა, შემდეგ კი ცეცხლის ენები შეიჭრა პალატებში. შენობამ ნგრევა დაიწყო. ცეცხლმოდებული სახლიდან შემწარავი ყვირილი ისმოდა. საწოლებზე მიჯაჭვული ოთხასი დაჭრილი შეელას ითხოვდა. მაგრამ მკვლელებით ალყაშემორტყმულ ჰოსპიტალში მათი შველა შეუძლებელი იყო. ზოგიერთმა დაჭრილმა ფანჯრიდან გადახტომა მოახერხა, მაგრამ ისინი იქვე მოჰკლეს ავაზაკებმა.

ბოლო ფლიგელის მეორე სართულზე იდგა თავზარდაცემული გიორგი. ჰოსპიტალის მთავარ ქირურგს გარს ეხვია მედმუშაკთა ჯგუფი და ის დაჭრილები, რომლებმაც ცეცხლმოკიდებული შენობის დერეფნები ხოხვით გამოიარეს. ისინი დასიცხული თვალებით შველას შესთხოვდნენ თავიანთ მკურნალს, მაგრამ ქირურგი უძლური იყო. ირგვლივ კი ცეცხლი ბობოქრობდა და შიშით დაზაფრულები სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდნენ.

— ეს რა არის? ნუთუ ვანდალთა მოდგმისაგან გადაშენება უწერია ჩვენთვის? — ფიქრობს ჯინჭველაძე და სიკვდილის მოლოდინში გული ეკუმშება. კვამლის ბოლქვებმა ახლა შენობის განაპირა კუთხეში შემოაღწია და ქირურგს ხველება დაეწყებინა.

— ვაგლახ, როგორ უაზროდ იღუპება ამდენი სიცოცხლე? — გაიფიქრა მან და გონების თვალი ცოლ-შვილს მოავლო, იმათ ელდანაკრავ სახეებს მიესიყვარულა. ახლა მხოლოდ მეხსიერება მუშაობდა და ადამიანი წამიერ ნუგეშს ახლობლების მოგონებაში ხედავდა. ცეცხლი კი ძალობდა, თავის გზაზე ყველაფერს ნთქამდა, ანაცრებდა. კვამლის სქელი საბურველი მეხსიერებასაც გადაეფარა და ფიქრი — მოსაგონარიც გადა, გაიფანტა.

— ბატონო გიორგი, გერმანელები წავიდნენ, — ძლივს წარმოთქვა ექიმმა ქალმა. ჯინჭველაძემ აწიოინებული თვალები მუბრთ მოისრისა და იქითკენ გაიხედა, სადაც მკვლელები — ცეცხლწაკიდებული ჰოსპიტლის გუშაგები ეგულებოდა. ეზოში მართლაც არავინ იყო.

— ახლა კი თავს უშველეთო! — დაიძახა ქირურგმა და კვლავ ხველება აუვარდა. მინებჩამტვრეულ ფანჯრებს უცქერ მისცვივდნენ დაჭრილები და მათი მკურნალები.

— აბა იჩქარეთო... იჩქარეთ, — ამბობდა გიორგი და დაუღლურებულ ჯარისკაცებს ფანჯრიდან გადახტომაში შველოდა.

— ამათ მე დავეხმარები, თქვენ კი ...

,,ეროვნული ...

,,ეროვნული ...

,,ეროვნული ...

ნახევარი საუკუნე ლანცეტით

ბოლოში შემოაღწია და ქირურგს ხველება დაუწყებინა.

— ვაგლახ, როგორ უაზროდ იღუპება ამდენი სიცოცხლე? — გაიფიქრა მან და გონების თვალი ცოლ-შვილს მოავლო, იმათ ელდანაკრავ სახეებს მიესიყვარულა. ახლა მხოლოდ მეხსიერება მუშაობდა და ადამიანი წ

ვახტანგ აშენებდა ქალაქს

ეტაპების პლატოზე, მტკვრის კლდოვან სანაპიროსთან ავერ უკვე რამდენიმე ხანია აღმართულია კვარცხლბეკი, სადაც უნდა დაიდგას თბილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასლის ძეგლი.

ამ დღეებში კვარცხლბეკზე ხარაჩოების მშენებლობა დაიწყეს. ვახტანგ გორგასლის ბრინჯაოში ჩამოსხმული სკულპტურაც სულ ორიოდე დღის წინათ ჩამოიტანეს ლენინგრადიდან.

გაივლის რამდენიმე დღე, და თბილისის ამ უძველეს უბანში, მეტეხის კლდოვან კონცხზე აღიმართება ჩვენი დედაქალაქის დამაარსებლის ვახტანგ გორგასლის ძეგლი — მხედარი ზეაწეული მარჯვენით.

ძეგლის სიმაღლე 8 მეტრია, კვარცხლბეკისა — 9 მეტრი. იგი მტკვრის დონიდან 30-მდე მეტრის სიმაღლეზეა. ბრინჯაოში ჩამოსხმული სკულპტურა 16 ტონას იწონის.

„ქართველის დედის" ავტორმა, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ელგუჯა ამაშუკელმა კიდევ ერთი ქანდაკება დაუდგა თბილისს.

ვახტანგ გორგასლის ძეგლზე ის ხუთ წელიწადს მუშაობდა. სპეციალურ კონკურსზე, სადაც ვახტანგ გორგასლის ძეგლის 22 ესკიზი იყო წარმოდგენილი, ამაშუკელის ნამუშევარი— მხედარი ზეაწეული მარჯვენით საუკეთესოდ ცნეს და მას მიანიჭეს პირველი პრემია.

დღეს უკვე ავტორის შთანაფიქრი ბრინჯაოშია განხორციელებული და იგი მტკვრის ნაპირზე აღიმართება.

განსაკუთრებით მადლობით უნდა მოვიხსენიოთ ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტსკულპტურის" კოლექტივი, რომელმაც უმოკლეს ვადაში, ორ თვეში ჩამოასხა გორგასლის ქანდაკება.

ძეგლის არქიტექტურული ნაწილის ავტორები არიან თეიმურაზ კანდელაკი და დავით მორბედაძე.

ვახტანგ გორგასლის სკულპტურის დამონტაჟება გაგრძელდება რამდენიმე ხანს და სამაისოდ თბილისელები მიიღებენ შესანიშნავ საჩუქარს. ქალაქის ეს ძველი უბანი კიდევ უფრო ლამაზი და ღირსშესანიშნავი გახდება.

ლ. ხუბულური.

სურათზე: ვახტანგ გორგასლის ძეგლი.

ვ. მ. ნუცუბიძე

გარდაიცვალა კონსერვატორი პარტიის წევრი 1920 წლიდან, პენსიონერ ... ...